ზაარლანდის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ პროფესორ–მასწავლებლებისთვის (2010/2011)

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს ზაარლანდის უნივერსიტეტში ერთთვიანი კვლევითი სტიპენდიების მოსაპოვებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ ყველა ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლებს.

საჭირო საბუთები:

- ელექტრონულად შევსებული ფორმულარი (2 ეგზემპლარი)
- ორი ფერადი ფოტო–სურათი ზომით 3/4 (გთხოვთ, დააკრათ ფორმულარებს)
- პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
- გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (სასურველია)
- თსუ–ში მუშაობის დამადასტურებელი ცნობა (ქართულ ენაზე)
- მიღებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი (ინგლისურ ან გერმანულ ენაზე)
- ინფორმაცია ზაარლანდის უნივერსიტეტში მიმღები პროფესორის შესახებ

კონკურსში გამარჯვებულებს ზაარლანდის უნივერსიტეტი სთავაზობს სტიპენდიას (800 ევრო) და ოთახს უნივერსიტეტის სასტუმრო სახლში. პროგრამა არ ითვალისწინებს მგზავრობის, დაზღვევისა და კვების ხარჯების ანაზღაურებას.

<u>საბუთების მიღების ბოლო ვადა: 2010 წლის 30 ნოემბერი, 12 საათი</u>

(თსუ II კორპუსი, ოთახი 237, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, ნანა შეითნიშვილი)

შენიშვნა: **აკადემიური პერსონალი გაივლის მხოლოდ გასაუბრებას.**
გასაუბრების თარიღი გამოქვეყნდება თსუ ვებ–გვერდზე.
აპლიკანტები უნდა ფლობდნენ გერმანულ ენას (გერმანული ენის არ ცოდნის შემთხვევაში კონკურსზე დაიშვებიან მხოლოდ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ინგლისური ენის მცოდნე პროფესორები).
დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება!

კონკურსზე არ დაიშვებიან 2009/2010 სასწავლო წლის ზაარლანდის კონკურსის გამარჯვებულები!

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532 25 02 12
26.10.2010